

სატენდერო დოკუმენტაცია

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით საახალწლო ილუმინაციების (ელექტრონათურების) შესყიდვის შესახებ

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად

ქ. ზუგდიდი, 2016 წელი

სარჩევი

1. შესასყიდი საქონლის დასახელება, ტექნიკური აღწერილობა და რაოდენობა	3
2. ტექნიკური დავალება	4
3. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია	4
4. დანართი №1, ფასების ცხრილი	6
5. დანართი №2, პრეტენდენტის საინფორმაციო ბარათი	8
6. დანართი №3, პრეტენდენტის გამოცდილება	9
7. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	10
8. საკონტაქტო პირი	16

1. შესასყიდი საქონლის დასახელება, ტექნიკური აღწერილობა და რაოდენობა

ა.ა.ი.პ. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის ცენტრი“-ს მიერ სხვადასხვა სახალწლო ილუმინაციების (ელექტრონათურების) შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა (ცალი)	ღირებულება (ლარი)
1	2	3	5	6
1	სტრინგი - თეთრი ცინულოვანი ნათებით	led ნათებით, 10 მ-იანი რულონი, ფერი: თეთრი ცინულოვანი,ნათურებს შორის დაშორება 8-10 სმ . ნათურები ვერტიკალურ მდგომარეობაში; სადენი - გამჭვირვალე. გარე გამოყენების - არანაკლებ IP 65 . ორმხრივი შეერთებით. სტრინგის სადენის კვეთი 0,5მმ².	200	
2	ლედ მანათობელი მილი ნეონური ნათებით (LED Rope-Lights-Neon-Flex)	სიგანე 20 მმ , სისქე 11 მმ. 100 მ-იანი რულონი. ლურჯი ნათებით, გარე გამოყენების - IP 65 ; ორმხრივი შეერთებით, მილის სადენის კვეთი 0,5მმ²	4	
3	მანათობელი ფარდა	led ნათებით, ფერი- თეთრი ცინულოვანი,ნათურებს შორის დაშორება 8-10 სმ .სადენი - გამჭვირვალე. სადენის კვეთი 0,5მმ², ე.წ „შტეკერის“ სადენის კვეთი 0,75მმ²; გარე გამოყენების -არანაკლებ IP 65 . ერთი ფარდის საერთო სიგრძე უნდა იყოს 3, დაშორება ჩამოშვებულ სტრინგებს შორის 10სმ. დაშვებული სტრინგის სიგრძე უნდა იყოს 3 მ.	100	
4		led ნათებით, ფერი- თეთრი ცინულოვანი,ნათურებს შორის დაშორება 8-10 სმ .სადენი - გამჭვირვალე. სადენის კვეთი 0,5მმ², ე.წ „შტეკერის“ სადენის კვეთი 0,75მმ²; გარე გამოყენების -არანაკლებ IP 65 . ერთი ფარდის საერთო სიგრძე უნდა იყოს 6, დაშორება ჩამოშვებულ სტრინგებს შორის 10სმ. დაშვებული სტრინგის სიგრძე უნდა იყოს 3 მ.	50	
5	კედელზე გასაკრავი ლედ მანათობელი მილი ნეონური ნათებით	სიგანე 20 მმ , სისქე 11 მმ. 5 მ-იანი რულონი. ლურჯი ნათებით, გარე გამოყენების - IP 65 ; ორმხრივი შეერთებით, მილის სადენის კვეთი 0,5მმ²	60	
6	გარე გამოყენების დეკორატიული LED მანათობელი ფიფქები ქარხნული წარმოების	თეთრი ცინულოვანი L ED ნათებით. სადენის ფერი გამჭვირვალე, ზომა: 42x42 სმ	25	
7		ლურჯი L ED ნათებით. ზომა: 42x42 სმ	25	
8		თეთრი ცინულოვანი L ED ნათებით. სადენის ფერი გამჭვირვალე, ზომა: 53x53 სმ	25	
9		ლურჯი L ED ნათებით. ზომა: 53x53 სმ	25	
10	გარე გამოყენების დეკორატიული LED მანათობელი ბურთები ქარხნული წარმოების	თეთრი ცინულოვანი ან ლურჯი L ED ნათებით, დიამეტრი: 40 სმ	80	
11		თეთრი ცინულოვანი ან ლურჯი L ED ნათებით, დიამეტრი: 30 სმ	80	
12		თეთრი ცინულოვანი ან ლურჯი L ED ნათებით, დიამეტრი: 25 სმ	80	
13		თეთრი ცინულოვანი ან ლურჯი L ED ნათებით, დიამეტრი: 20 სმ	80	
14		თეთრი ცინულოვანი ან ლურჯი L ED ნათებით, დიამეტრი: 15 სმ	80	
15	მანათობელი ტიტები	ფერადი	60	

2. ტექნიკური დავალება

- სტატუსის „გამარჯვებულად გამოვლენილია“ მინიჭებიდან ხელშეკრულების გაფორმებამდე ტენდერში გამარჯვებულმა „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს დანართი №1-ში მითითებული საქონლის ნიმუშების (თითო ეგზემპლარი) წარმოდგენა და დემონსტრაცია „შემსყიდველი“ ორგანიზაციის მიერ მითითებულ მისამართზე.
- „შესყიდვის ობიექტის“ მიწოდება „მიმწოდებლის“ მიერ განხორციელდება „შემსყიდველის“ მოთხოვნიდან (წერილობით ან სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე) 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- ტენდერში გამარჯვებულმა „მიმწოდებელმა“ საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ტრანსპორტირება და მიწოდება „შემსყიდველი“ ორგანიზაციის მიერ მითითებულ მისამართზე (ქ. ზუგდიდი, გორის ქ. №17).

შენიშვნა*: „შესყიდვის ობიექტის“ წარმოდგენილი ნიმუშების სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში სატენდერო კომისია მოახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

3. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია

- 2.1 სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების დაფინანსების წყარო: 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი;
- 2.2 პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:
 - ფასების ცხრილის შევსებულ ფორმას (დანართი №1-ის შესაბამისად);
 - პრეტენდენტის გამოცდილებას (დანართი №2-ის შესაბამისად);
 - პრეტენდენტის საინფორმაციო ბარათს (დანართი №3-ის შესაბამისად);
- 2.3 პუნქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოადგენს პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას, რომელიც უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების შეთავაზებისას.
- 2.4 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
- 2.5 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ პრეტენდენტთა სატენდერო წინადადების წარდგენის ალტერნატიული წესი არ განიხილება.
- 2.6 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის, ტრანსპორტირების დასხვა ხარჯების გათვალისწინებით.
- 2.7 პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაშია „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.
- 2.8 „მიმწოდებლის“ მიერ საბანკო (ან სადაზღვევო) გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელია ავანსის გაცემა 50%-ის ოდენობით („მიმწოდებელმა“ საბანკო (ან სადაზღვევო) გარანტია უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღეში).

- 2.9 სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.
- 2.10 ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. ამ შემთხვევაში მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს, უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის უპირატესობის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

შენიშვნა^(ა): პრეტენდენტი აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობით ავტომატურად ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია სატენდერო დოკუმენტაცია და ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.

შენიშვნა^(ბ): პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია უნდა იყოს სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული.

შენიშვნა^(გ): შესაძლებელია პრეტენდენტს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების შესახებ და ასევე, გამარჯვების შემთხვევაში საჭირო შეტყობინებები (სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი) გაეგზავნოს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

4. ფასების ცხრილი

(პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი შემდეგი ფორმის შესაბამისად)

შეკვების თარიღი: _____

პრეტენდენტის დასახელება: _____

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა (ცალი)	ღირებულება (ლარი)
1	2	3	5	6
1	სტრინგი - თეთრი ცინულოვანი ნათებით	led ნათებით, 10 მ-იანი რულონი, ფერი: თეთრი ცინულოვანი,ნათურებს შორის დაშორება 8-10 სმ . ნათურები ვერტიკალურ მდგომარეობაში; სადენი - გამჭვირვალე. გარე გამოყენების - არანაკლებ IP 65 . ორმხრივი შეერთებით. სტრინგის სადენის კვეთი 0,5მმ².	200	
2	ლედ მანათობელი მილი ნეონური ნათებით (LED Rope-Lights-Neon-Flex)	სიგანე 20 მმ , სისქე 11 მმ. 100 მ-იანი რულონი. ლურჯი ნათებით, გარე გამოყენების - IP 65 ; ორმხრივი შეერთებით, მილის სადენის კვეთი 0,5მმ²	4	
3	მანათობელი ფარდა	led ნათებით, ფერი- თეთრი ცინულოვანი,ნათურებს შორის დაშორება 8-10 სმ .სადენი - გამჭვირვალე. სადენის კვეთი 0,5მმ², ე.წ „შტეკერის“ სადენის კვეთი 0,75მმ²; გარე გამოყენების -არანაკლებ IP 65 . ერთი ფარდის საერთო სიგრძე უნდა იყოს 3, დაშორება ჩამოშვებულ სტრინგებს შორის 10სმ. დაშვებული სტრინგის სიგრძე უნდა იყოს 3 მ.	100	
4		led ნათებით, ფერი- თეთრი ცინულოვანი,ნათურებს შორის დაშორება 8-10 სმ .სადენი - გამჭვირვალე. სადენის კვეთი 0,5მმ², ე.წ „შტეკერის“ სადენის კვეთი 0,75მმ²; გარე გამოყენების -არანაკლებ IP 65 . ერთი ფარდის საერთო სიგრძე უნდა იყოს 6, დაშორება ჩამოშვებულ სტრინგებს შორის 10სმ. დაშვებული სტრინგის სიგრძე უნდა იყოს 3 მ.	50	
5	კედელზე გასაკრავი ლედ მანათობელი მილი ნეონური ნათებით	სიგანე 20 მმ , სისქე 11 მმ. 5 მ-იანი რულონი. ლურჯი ნათებით, გარე გამოყენების - IP 65 ; ორმხრივი შეერთებით, მილის სადენის კვეთი 0,5მმ²	60	
6	გარე გამოყენების დეკორატიული LED მანათობელი ფიფქები ქარხნული წარმოების	თეთრი ცინულოვანი L ED ნათებით. სადენის ფერი გამჭვირვალე, ზომა: 42x42 სმ	25	
7		ლურჯი L ED ნათებით. ზომა: 42x42 სმ	25	
8		თეთრი ცინულოვანი L ED ნათებით. სადენის ფერი გამჭვირვალე, ზომა: 53x53 სმ	25	
9		ლურჯი L ED ნათებით. ზომა: 53x53 სმ	25	
10	გარე გამოყენების დეკორატიული LED მანათობელი ბურთები	თეთრი ცინულოვანი ან ლურჯი L ED ნათებით, დიამეტრი: 40 სმ	80	
11		თეთრი ცინულოვანი ან ლურჯი L ED ნათებით, დიამეტრი: 30 სმ	80	

12	ქარხნული წარმოების	თეთრი ცინულოვანი ან ლურჯი L ED ნათებით, დიამეტრი: 25 სმ	80	
13		თეთრი ცინულოვანი ან ლურჯი L ED ნათებით, დიამეტრი: 20 სმ	80	
14		თეთრი ცინულოვანი ან ლურჯი L ED ნათებით, დიამეტრი: 15 სმ	80	
15	მანათობელი ტიტები	ფერადი	60	

პრეტენდენტის ხელმოწერა _____
(ხელმოწერის თანამდებობა, სახელი, გვარი)

შენიშვნა⁽¹⁾: მოცემული ფასების ცხრილი უნდა მომზადდეს შესაბამისი ფორმის გამოყენებით, უნდა შეივსოს ტექსტის გადაკეთების გარეშე, არ დაიშვება ცვლილებები, თითოეული ცარიელი ადგილი უნდა შეივსოს მოთხოვნილი ინფორმაციით.

შენიშვნა⁽²⁾: შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის პარამეტრები, ტექნიკური მახასიათებლები უნდა იყოს არანაკლებ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებული ტექნიკური მახასიათებლებისა ან შესაბამისი.

შენიშვნა⁽³⁾: სატენდერო წინადადების ფასი უნდა მოიცავდეს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

შენიშვნა⁽⁴⁾: პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 20%-ით ან მეტი ოდენობით სხვაობისას, სატენდერო კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში, პრეტენდენტი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის ჩატარება. რაზედაც პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების მიწოდების შესაძლებლობის შესახებ. ექსპერტის შერჩევა და მისი ხარჯების ანაზღაურება მოხდება პრეტენდენტის მიერ. ზემოხსენებული დასაბუთების ან/და ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

შენიშვნა⁽⁵⁾: პროდუქციის ერთეულის ღირებულებასა და საერთო ღირებულებას შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პროდუქციის ერთეულის ღირებულებას.

შენიშვნა⁽⁶⁾: გამარჯვებულ პრეტენდენტს დამატებით მოეთხოვება მის მიერ ვაჭრობის დამატებითი რაუნდების შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის შესაბამისი განფასება.

შენიშვნა⁽⁷⁾: „მიწოდებლის“ მიერ მოწოდებული „შესყიდვის ობიექტის“ ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

შენიშვნა⁽⁸⁾: „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული „შესყიდვის ობიექტი“, მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.

5. პრეტენდენტის გამოცდილება

პრეტენდენტის დასახელება _____

წელი	დამკვეთი	შესყიდვის ობიექტი (მოკლე აღწერილობა)	ღირებულება (ლარი)	შენიშვნა

პრეტენდენტის ხელმოწერა _____
(ხელმომწერის თანამდებობა, სახელი, გვარი)

პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს საახალწლო ილუმინაციების მიწოდებისა და მონტაჟის შესახებ ჯამში არანაკლებ 3 (სამი) ხელშეკრულების შესრულების გამოცდილება საერთო ღირებულებით არანაკლებ **100000,00** (ასი ათასი) ლარის ოდენობით, რაზედაც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ისა და მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი, ან დამკვეთის მიერ დამოწმებული სამუშაოების საბოლოო მიღების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების ასლები.

შენიშვნა*: პრეტენდენტმა ტენდერში უნდა წარმოადგინოს სარეკომენდაციო წერილი იმ შემსყიდველი ორგანიზაცი(ებ)იდან რომელთანაც შესრულებული აქვს ანალოგიური ხელშეკრულებები.

საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია უზრუნველყოს წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება.

6. პრეტენდენტის საინფორმაციო ბარათი

შევსების თარიღი: _____

პრეტენდენტის დასახელება _____

ინფორმაცია პრეტენდენტის შესახებ	
პრეტენდენტის (ფიზიკური და იურიდიული პირის) სახელწოდება/დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადი ნომერი):	
პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:	
დაფუძნების წელი ან/და სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	
მომსახურე ბანკის დასახელება, ბანკის კოდი და ანგარიშსწორების ანგარიში:	
პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენელი (სახელი, გვარი, მისამართი, ოფისის ტელეფონის ნომერი, მობილური, ელ. ფოსტის მისამართი):	

პრეტენდენტის ხელმოწერა _____
(ხელმოწერის თანამდებობა, სახელი, გვარი)

7. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

(პროექტი)

ქ. ზუგდიდი

„---“ „-----“, 2016 წელი

ერთის მხრივ, ა.ა.ი.პ. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ქალაქ დირექტორის მამუკა ციმიტაის სახით და მეორეს მხრივ, (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებისა და „მიმწოდებლის“ სატენდერო წინადადების საფუძველზე, განხორციელებული ერთეულოვანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA) ფარგლებში ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია კისრულობს მიაწოდოს და გადასცეს საკუთრებაში „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული „შესყიდვის ობიექტი“, ხოლო „შემსყიდველი“ ვალდებულია კისრულობს მიიღოს და აუნაზღაუროს „შესყიდვის ობიექტის“ ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
- 1.2 ხელშეკრულების საგანია 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისაგან“ (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი“) შესყიდვა (CPVკოდი:), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტის დასახელება

- 2.1 ხელშეკრულების ობიექტის დასახელება და რაოდენობა მოცემულია „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციაში (დანართი), რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

- 3.1 “შესყიდვის ობიექტის“ მთლიანი სახელშეკრულებო თანხა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და სხვა ხარჯების გათვალისწინებით შეადგენს (.....) ლარს.
- 3.2 “შესყიდვის ობიექტის“ ერთეულის ფასები მოცემულია დანართში.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

- 4.1 “მიმწოდებლის“ მიერ მოწოდებული „შესყიდვის ობიექტის“ ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.
- 4.2 “მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული „შესყიდვის ობიექტი“, მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

- 5.1 “შესყიდვის ობიექტის“ მიწოდება „მიმწოდებლის“ მიერ განხორციელდება „შემსყიდველის“ მოთხოვნიდან (წერილობით ან სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე) 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 5.2 ხელშეკრულების თანახმად „შესყიდვის ობიექტის“ მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია ქალაქ ზუგდიდი გორის ქ. №17.
- 5.3 „შესყიდვის ობიექტის“ მიწოდების პარალელურად, „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა „შემსყიდველისთვის“ (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1 “შესყიდვის ობიექტი“ ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 6.2 “შესყიდვის ობიექტის“ მიღება-ჩაბარება მოხდება „შემსყიდველის“ ოფისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე.
- 6.3 ხელშეკრულების ობიექტის მიღებას ახორციელებენ „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც „შესყიდვის ობიექტის“ მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.
- 6.4 “შესყიდვის ობიექტის“ მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

7. ანგარიშსწორების წესი

- 7.1 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება „შესყიდვის ობიექტის“ მიღების შემდეგ, უნაღლო ანგარიშსწორების სახით, „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის ფორმით.
- 7.2 „მიმწოდებლის“ მიერ საბანკო (ან სადაზღვევო) გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელია ავანსის გაცემა 50%-ის ოდენობით („მიმწოდებელმა“ საბანკო (ან სადაზღვევო) გარანტია უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღეში).
- 7.3 ანგარიშსწორებას „შემსყიდველი“ განხორციელებს ფაქტობრივად მიღებული „შესყიდვის ობიექტის“ რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (ამ კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტის) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 “შემსყიდველი“ ვალდებულია:

- 8.1.1 უზრუნველყოს მისთვის გადაცემული „შესყიდვის ობიექტის“ შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „მიმწოდებლისათვის“, წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;
- 8.1.2 „შესყიდვის ობიექტის“ მიწოდებისთანავე გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

8.2 “შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

- 8.2.1 „მიმწოდებლისგან“ მოითხოვოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ობიექტის ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება;
- 8.2.2 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

8.2.3 თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლივ განახორციელოს „მიწოდებლის“ მიერ გადაცემული „შესყიდვის ობიექტის“ ხარისხის, კომპლექტაციის, მარკირების, შეფუთვის შემოწმება;

8.2.4 „მიწოდებლისაგან“ მოითხოვოს „შესყიდვის ობიექტის“ გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

8.3 „მიწოდებელი“ ვალდებულია:

8.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ღირებულებით მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო „შესყიდვის ობიექტი“;

8.3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს“ წარუდგინოს „შესყიდვის ობიექტთან“ დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;

8.3.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გამოვლენილი „შესყიდვის ობიექტის“ მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა;

8.3.4 „შესყიდვის ობიექტის“ მიწოდებასთან დაკავშირებით, მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს „შემსყიდველს“ მიწოდებული „შესყიდვის ობიექტის“ შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტი;

8.3.5 დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

8.3.6 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“ შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

8.4 “მიწოდებელი“ უფლებამოსილია:

8.4.1 „შემსყიდველისაგან“ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მხარეებს არ აქვთ უფლება მეორე მხარესთან წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცენ მესამე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე (ათი პროცენტი) მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს მიწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან

დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2 ხელშეკრულება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შესრულების საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

14.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას, მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

14.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს „შემსყიდველის“ წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

14.3 თუ „მიმწოდებელი“ პირგასამტეხლოს სახით გადახდის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში არ გადაიხდის პირგასამტეხლოს, მას დამატებით დაეკისრება ჯარიმა, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის პირგასამტეხლოს თანხის 0,15%-ის ოდენობით.

14.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.5 „შემსყიდველს“ უფლება აქვს მოახდინოს პირგასამტეხლოს გამოქვითვა „მიმწოდებლისათვის“ ასანაზღაურებელი თანხიდან.

14.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.7 პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

15. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

- 15.1 ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეურულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.
- 15.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.
- 15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ფორს-მაჟორი

- 16.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
- 16.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
- 16.3 მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

17. დავების გადაწყვეტის წესი

- 17.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
- 17.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

- 18.1 „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
- 18.2 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით:
- 18.3 ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.
- 18.4 „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ინსპექტირების ჯგუფი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული ან/და მისაწოდებელი „შესყიდვის ობიექტის“ რაოდენობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების კონტროლი.
- 18.5 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა.
- 18.6 „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შესყიდვის ობიექტის“ მიწოდების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები და წარუდგინოს „შესყიდვის ობიექტის“ მიწოდებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.
- 18.7 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

19. დასკვნითი დებულებები

- 19.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
- 19.2 მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
- 19.3 ხელშეკრულების მხარეებს არ აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
- 19.4 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.
- 19.5 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს წლისმდე.
- 19.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 3 (სამი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“.

20. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

8. საკონტაქტო პირი

მამუკა ციმინტია - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

ტელ: +995 577 34 17 00.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №79,